

ექსპროპრიაციის სამართლებრივი რეგულაცია და მისი გამოყენების  
ფარგლები

მარიამ კაკულია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიულ ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ კორძია, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

*როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოუქვეყნებელ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

მარიამ კაკულია

1.07.2019 წელი

## აბსტრაქტი

ნაშრომი შეეხება ექსპროპრიაციის სამართლებრივ რეგულირებას ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის და ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ექსპროპრიაციის საგნის განმარტებას, მისი გამოყენების მიზანშეწონილობის, ქონების ჩამორთმევის პროცედურისა და კომპენსაციის საკითხებს.

საინტერესოა, აკმაყოფილებს თუ არა ქართული კანონმდებლობა საერთაშორისო სამართლით დადგენილ სტანდარტებს. კერძოდ, ხომ არ საჭიროებს გადახედვას ის სამართლებრივი აქტები, რომლის საფუძველზეც სახელმწიფოს ენიჭება ექსპროპრიაციის უფლება რათა მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული საკუთრების ჩამორთმევის გაუმართლებელი შემთხვევები. მაგალითისთვის, მნიშვნელოვანია, შეფასდეს ხომ არ ილახება ქონების მესაკუთრის უფლებები, როდესაც მესაკუთრეს არ აქვს ექსპროპრიაციის აღსრულების შეჩერების მოთხოვნის უფლება გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრების დროს.

უძრავი ქონების ბაზარი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. საკითხის გონივრულ მოწესრიგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც ადამიანის უფლების დაცვის, ისე - ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობისათვის.

**ძირითადი საკვანძო სიტყვები:** საკუთრების უფლება, ექსპროპრიაცია, კომპენსაცია, ევროპული კონვენცია.

## **Abstract**

This report is in respect of Article 1 of Protocol No. 1 additional to European convention and Georgian legislation over the legal compliance of expropriation: defining the concept of expropriation, appraising the practice, reviewing the procedure of sequestration and compensation.

It's intriguing to scrutinize if Georgian legislation meets the standards drawn up by international law. Particularly , if legislative acts need to be revised, in order to eschew illegal divesting by means of law of expropriation adopted by government on the ground of those legislative acts. For instance, it's crucial to discern if a property owner's rights are or are not violated, when he is not capable of demanding the termination of expropriation in the act of suing in a higher instance court.

Real Estate market plays a pivotal role in economic development of a country. Rationally solving the issue is significant not only for human rights' protection but for the economic prosperity as well.

**Keywords :** property rights , expropriation, compensation, European convention.